სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.260.050.35.132.000.221

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №14

2010 წლის 30 ივლისი

ქ. ბათუმი

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის ქირის ოდენობის (სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობა) განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 28 სექტემბრის №1-1/1476 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულო **ადგენს** :

1. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის ქირის ოდენობა (სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობა) დადგინდეს შემდეგი ოდენობით:

ა) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე:

ა.ა) ცენტრალურ ზონის I ქვეზონაში – 1 კვ. მ-ზე – 1.5 ლარი;

ა.ბ) ცენტრალური ზონის II ქვეზონაში – 1 კვ. მ-ზე – 1.3 ლარი;

ა.გ) ცენტრალური ზონის III ქვეზონაში – 1 კვ. მ-ზე – 1.1 ლარი;

ა.დ) შუალედური ზონის I ქვეზონაში – 1 კვ. მ-ზე – 0.9 ლარი;

ა.ე) შუალედური ზონის II ქვეზონაში – 1 კვ. მ-ზე – 0.75 ლარი;

ა.ვ) პერიფერიული ზონის I ქვეზონაში – 1 კვ. მ-ზე – 0.6 ლარი;

ა.ზ) პერიფერიული ზონის II ქვეზონაში – 1 კვ. მ-ზე – 0.5 ლარი.

ბ) შენობა-ნაგებობაზე:

ბ.ა) ცენტრალურ ზონაში – 1 კვ. მ-ზე – 25 ლარი;

ბ.ბ) შუალედურ ზონაში – 1 კვ. მ-ზე – 20 ლარი;

ბ.გ) პერიფერიულ ზონაში – 1 კვ. მ-ზე – 15 ლარი.

გ) მოძრავ ქონებაზე – ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულების 5 %.

2. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ადმინისტრაციული ტერიტორიის ზონები (ცენტრალური, შუალედური და პერიფერიული ზონა) და მათი საზღვრები განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს ცალკე ნორმატიული აქტი.

3. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური ქირის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“

თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 29 იანვრის №7 დადგენილება.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. კირთაძე